

გურანდა ქართველიშვილი*

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია საზღვრები, პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგები

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კომპლექსური სამართლებრივი გარანტიაა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. პრაქტიკასა და თეორიაში ხშირია იმაზე დავა თუ სად იწყება და სად მთავრდება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის საზღვრები, რა შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლის შემთხვევებად და პრივილეგიის უფლების შეზღუდვად. ადამიანის კონსტიტუციური უფლებების გარანტირება დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. უსაფრთხოება და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი ვერ იქნება შეზღუდვის გამამართლებელი წინაპირობები. წინამდებარე სტატიაში დეტალურად იქნება განხილული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მიერ დაწესებული სტანდარდები. ასევე, სასამართლო ორგანოების მიერ შემოთავაზებული განმარტებები, რომლებიც ასე თუ ისე ნათელს ხდის იმ პრივილეგიის განმარტებას, რომელიც თავის არსით საკმაოდ მარტივად გასაგები, მაგრამ ამავე დროს ცალსახად ბუნდოვანი და მრავალმხრივ ინტერპრეტირებადი.

საკვანძო სიტყვები: თვითინკრიმინაცია; სამართლიანი სასამართლოს უფლება; ბრალდებულის უფლებები; დუმილის უფლება; „მირანდას უფლებები“.

შესავალი

სამართლიანი სასამართლოს იმანენტური თვისება თავის თავში მოიცავს ადამიანების რეალურ შესაძლებლობას სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან საკუთარი უფლებები და ამავე დროს, დაცულ იქნეს ადამიანი თავად სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისაგან, იწვევდეს სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან.¹ სამართლიანი სასამართლოს ელემენტები სხვადასხვაგვარია, ისინი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სხვადასხვა მუხლში გვხვდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება (მუხლი 15), რომელიც პიროვნებას იცავს მისი მამხილებელი ჩვენების მიცემის იძულებისაგან.

არავინ არაა ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, იგივე *nemo tenetur se ipsum accusare vel prodere* პრინციპი სხვადასხვაგვარადაა ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებში.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სისხლის სამართლის პროცესების მონიტორი.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N574, II-88; 23.05.2014.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება – „არავინ აიძულოს მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ სცნოს“² საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია მოხსენიებული არაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი დუმილისა და საკუთარი თავის არდადნაშაულების უფლებას საქმის სამართლიანი განხილვის შემადგენელ კომპონენტად მიიჩნევს. შეიძლება ითქვას, კონვენციასა და მე-7 დამატებით ოქმში ამ გარანტიის პრესკრიფციულად არარსებობა არა მისი მხედველობიდან გამორჩენის, არამედ კონსენსუსის შედეგია, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვა სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია და მისი დაკონკრეტება საჭირო არაა.

გამოძიების საწყის სტადიაზე სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დანაშაულის სავარაუდო ჩამდენის აღმოჩენა და სხვა მტკიცებულებებთან ერთად პიროვნების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სრულყოფილი გამოკვლევა. მას შემდეგ, რაც პირს დროულად შეატყობინებენ მის მიმართ დანაშაულის ჩადენის ვარაუდსა და უფლებებს, არ უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, სამართალდამცავ ორგანოებს ერთი რამ აბრკოლებთ, ეს არის საქმის სამართლიანი გამოკვლევისა და შემდგომ სასამართლოში განხილვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - ბრალდებულის დუმილის უფლება. უფლება იმისა, რომ სუბიექტებმა არ მოახდინონ საკუთარი თავის ინკრიმინირება.

თვითინკრიმინაციის აკრძალვის პრივილეგია არის პროცედურული გარანტიების ქვაკუთხედი, რომლებზეც სუბიექტს მიუწვდება ხელი. გარდა ბრალდებულზე ძალადობისა და ფსიქოლოგიური/ფიზიკური ზეწოლის აღკვეთისა, თვითინკრიმინაციის პრივილეგიის უზრუნველყოფა ემსახურება საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის იმ მოთხოვნის დაცვას, რომლის მიხედვითაც, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმე უნდა აიგოს კანონის შესაბამისად, სავალდებულო ჩვენების მიცემის გარეშე.³ აღსანიშნავია, რომ დუმილისა და მამხილებელი მტკიცებულებების გადაცემაზე უარის თქმის უფლება უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, ნებისმიერი ხანგრძლივობით. შესაბამისად, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ ართმევს სუბიექტს უფლებასა და შესაძლებლობას მოგვიანებით ითანამშრომლოს შესაბამის ორგანოებთან.

ქართული საკანონმდებლო რეალობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია წარმოადგენს ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებას, რომლის შეზღუდვა, მხოლოდ პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალებით დაიშვება. ვინაიდან, *nemo tenetur*-ის პრინციპი არაა აბსოლუტური გარანტია.

² საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14.3 (ზ).

³ Glenn M. Abernathy and Barbara A. Perry, Civil liberties under the Constitution (6th edn. Columbia, SC, 1993),84

უფლებით ეფექტიანი და სრულყოფილი საგებლობისათვის, უფლების არსი სრულად უნდა განემარტოს ბრალდებულს სისხლის სამართალწარმოებაში მისი შემოსვლისთანავე, ხოლო მოწმეს, რომელიც ჩვენებას აძლევს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაკითხვის წინ.

წინამდებარე სტატიაში დეტალურად იქნება განხილული თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიისა და დუმილის უფლების საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის გარანტიები, გამონაკლისი შემთხვევები და მოქმედების ფარგლები.

2. ტერმინოლოგია და პრივილეგიის წარმოშობა

2.1. ტერმინოლოგია (არსი და მნიშვნელობა)

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია სისხლის სამართლის პროცესში მოქმედ ფუნდამენტურ უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და მრავალმხრივ ინტერპრეტირებადი გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საკითხი, განმარტება და პრობლემა ცალსახაა, მეცნიერებაში მრავალი კონკრეტული საკითხი მიიჩნევა დავის საგნად.

თვითინკრიმინაციისაგან დაცვა მოიხსენიება, როგორც „დუმილის უფლება“ და „საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან დაცვის უფლება“. თავისუფალი ტერმინოლოგიის გამოყენების გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დუმილის უფლება და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ერთი და იგივე ცნებებია. რეალურად კი, აღნიშნული ორი დამოუკიდებელი გარანტიებია, რომლებიც ერთმანეთს ნაწილობრივ კვეთენ. შესაბამისად, ჩნდება იმის შანსი, რომ დამახინჯდეს თითოეულის მნიშვნელობისა და განმარტების ინტერპრეტაცია. ზოგადად, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის გარანტია გულისხმობს პიროვნების უფლებას, არ აიძულონ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების ან მამხილებელი დოკუმენტების მიცემა და დაცული იყოს ნებისმიერი ბეწოლისაგან.⁴

სემანტიკური მნიშვნელობით ლათინური გამონათქვამი „*nemo tenetur se ipsum accusare vel prodere*“ ზუსტად ნიშნავს, „არავინ არაა ვალდებული თავი დაიდანაშაულოს“. ⁵ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მიხედვით, პრინციპი იდენტიფიცირდება, როგორც თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, *nemo tenetur*-ის პრინციპი ბრალდებულის 5 ძირითად უფლებას ხდის გარანტირებულს: 1. გამოიყენოს დუმილის უფლება; 2.

⁴ Funke v France; JB v. Switherland, ECHR, 25.02.1993.

⁵ Luis E. Chiesa, *Beyond torture: The Nemo Tenetur Principle in Borderline Cases*, Pace University, Pace Law faculty publications. 2009. 35-36.

არ მისცეს ჩვენება სურვილის გარეშე; 3. ადვოკატთან კონსულტაციის უფლება ჩვენების მიცემამდე; 4. არ ჩაიყენოს საკუთარი თავი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მის ბრალეულობას დაამტკიცებს და 5. არ ითანამშრომლოს გამოძიებასთან თვითინკრიმინაციის საფრთხიდან გამომდინარე.⁶

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ერთი მხრივ, თავის თავში მოიცავს დუმილის უფლებას და მეორე მხრივ, დუმილის უფლება, ზოგ შემთხვევაში, უფრო შორს მიდის, ვინაიდან ის იცავს პირს არა მხოლოდ საკუთარი მამხილებელი ჩვენების მიცემის, არამედ ნებისმიერი განცხადების გაკეთებისაგან.⁷

თეორიასა და პრაქტიკაში, გამარტივების მიზნით, ხშირად იყენებენ მის შემოკლებულ ვარიანტს *nemo temetur* (არავინ არაა ვალდებული), განმარტების შედეგად, კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული ასახავს გარანტიის ფილოსოფიურ საფუძველს, ვიდრე პრივილეგიის კონკრეტულ შინაარსს. თუმცა, მისი ძირითადი აზრი და მნიშვნელობა არ იკარგება. მთავარია, პრივილეგიის არსი შენარჩუნდეს თავისი ჭეშმარიტი და აბსოლუტური ფორმით და არ იქნეს ინტერპრეტირებული მკაცრად დებულებების ტექსტის მიხედვით. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გარანტიის კონკრეტული ფორმულირებისა და სემანტიკური მნიშვნელობის განმარტების არარსებობას გარკვეული უპირატესობაც აქვს, ვინაიდან არ ხდება შეზღუდვა მისი ტერმინოლოგიური თუ შინაარსობრივი განმარტებისას.

2.2. პრივილეგიის წარმოშობის საფუძვლები და არსი თანამედროვეობაში

სამართლიანი სასამართლოს უფლება ფუნდამენტური გარანტიაა, მის წიაღში კი თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის წარმოშობის კვლევა სიღრმისეული დისკუსიისა და შეუთანხმებლობის საგნადაა ქცეული.

პრინციპი, რომ ადამიანს არ უნდა აიძულონ იმოქმედოს თავისი ინტერესების წინააღმდეგ, ჰქონდეს საშუალება უარი თქვას დანაშაულში საკუთარი ბრალეულობის დადასტურებაზე, იდეის დონეზე, მაგრამ არა ნორმატიულად ჩამოყალიბებულად, გვხვდება ჯერ კიდევ ძველ თალმუდურ სამართალში.⁸ თანამედროვე ფორმულირებით თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია სათავეს იღებს საერთო სამართლის ქვეყნებში, სამოსამართლო სამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმების

⁶ ტრექსელი.შ „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“. 2010, 384-391.

⁷ განსხვავებული აზრი და განმარტებაა გაკეთებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში სონდერსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (Sounders v. UK).

⁸ ტრექსელი.შ., ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში, 2010, 384.

განვითარების პარალელურად. ყურადღება უნდა გამახვილდეს შუა საუკუნეების დასასრულის შემდგომ პერიოდსა და დიდ ბრიტანეთში განვითარებული ცვლილებების პროცესებზე. XVI-XVII საუკუნეებში ინგლისში გაუქმდა ე.წ. „ვარსკვლავთა პალატა“, აიკრძალა *ex officio* ფიცის დადების წესი. ადამიანის საპროცესო უფლებებმა, მათ შორის, საკუთარი თავის დაცვის მიზნით დუმილის გამოყენებამ, ფუნდამენტური და სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი როლი შეიძინა.

საერთაშორისო დოკუმენტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განმტკიცებული პრინციპი, თანამედროვე ფორმულირებით, მიზნად ისახავს დაიცვას პროცესის მონაწილეები ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან არასათანადო იძულებისაგან, უზრუნველყოს ბრალდებულის თავისუფალი არჩევანის უფლება – ილაპარაკოს, თუ აირჩიოს დუმილი სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის დროს. უფლებით ეფექტური სარგებლობისათვის მისი არსი ბრალდებულს უნდა განემარტოს მაშინვე, როგორც კი შემოვა სისხლის სამართალწარმოებაში, მოწმეს კი - დაკითხვის წინ. პრივილეგიის გამოყენება არ უნდა აღიქმებოდეს ბრალდებულის დამნაშავეობის მტკიცებულებად, ჯონ მიურეის საქმეზე (*John Murrey v. UK*) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირის ინფორმირება დუმილის მის წინააღმდეგ გამოყენების შესახებ ყოველთვის უნდა ჩაითვალოს „არაჯეროვან იძულებად“ და კანონით მინიჭებული უფლებაში არათანაბომიერ ჩარევად.⁹

3. პრივილეგიის პირდაპირი შედეგები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დუმილის უფლებისა და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის მნიშვნელობა და არსი რამდენიმე პრეცედენტულ საქმეში განიხილა.¹⁰ მის მიერ ჩამოყალიბებული თეორიული არგუმენტები საკმაოდ კომპლექსური და რთულად ინტერპრეტირებადია. მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე, დეტალურად იქნეს განხილული.

3.1. პრივილეგიის ამოსავალი წერტილი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიცავს დუმილისა და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიებს. ადამიანის უფლებათა

⁹ John Murrey v. UK, ECHR, 28.10.1994.

¹⁰ Sounders v, the United Kingdom, ECtHR, 17.12.1996; Funke v. France, ECtHR, 25.02.1993 §44; Jalloh v. Germany, ECtHR, 11.07.2006; O'Halloran and Francis v. the United Kingdom, ECtHR, 29.06.2007.

ევროპული სასამართლოს მიერ ისინი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია¹¹, როგორც საქმის სამართლიანი და ყოველმხრივ განხილვის განუყოფელი ქვაკუთხედი. სამართალწარმოება, რომელშიც უზრუნველყოფილი და დაცული არაა პიროვნების უფლება, არ მოახდინოს საკუთარი თავის ინკრიმინირება, სამართლიანად და მე-6 მუხლთან შესაბამსად ვერ ჩაითვლება.

3.2. დაცვა არაჯეროვანი იძულებისაგან

3.2.1. დაცვა უშუალო ფიზიკური ზეწოლისაგან (ფარგლები და გამონაკლისი შემთხვევა)

საკუთარი თავის ინკრიმინირებისაგან დაცვა და დუმილის უფლება ერთი შეხედვით მარტივი ფუნდამენტური გარანტიებია. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ აპირებს გასცეს კითხვებზე პასუხი, ცხადია, პრაქტიკულად არ არსებობს ფიზიკური იძულების მეთოდი, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და აიძულებს ბრალდებულს მისცეს მის საწინააღმდეგოდ არსებული ინფორმაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით ბლანკეტურადაა აკრძალული წამება და არაადამიანური მოპყრობა, მაშინაც კი, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. თუმცა, ადამიანისგან და მისი ორგანიზმიდან ბიოლოგიური ნიმუშის აღების შესაძლებლობას კონვენცია არ კრძალავს. ჩნდება კითხვა, ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად რამდენად შესაძლებელია ბიოლოგიური ნიმუშის (როგორებიცაა სისხლი, ჰაერი, თმა, ხმა, შარდი და ა.შ.) მოპოვება და საგამოძიებო ორგანოების მიერ შესაბამისი ქმედებების განხორციელებისას ხომ არ ირღვევა არაერთხელ ნახსენები თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია.

Nemo Tenetur-ის პრინციპი არ გამოიყენება იმ მტკიცებულებებთან მიმართებით, რომელთა არსებობა არ არის დამოკიდებული ბრალდებულის ნებაზე და რომელთა მოპოვება შესაძლებელია ბრალდებულისაგან საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული იძულების ღონისძიებების გამოყენების გზით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული გზით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქმეზე „ჯალო გერმანიის

¹¹ ფაქტი, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია მოცემულია, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში, ისევე ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში სრულიად ამყარებს უფლების საერთაშორისო სტანდარტად კვალიფიკაციას. ამავე დროს, მსგავსი დანაწესი მოიძებნება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში, მაგალითად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 15.

წინააღმდეგ“_ (*Jalloh v. Germany*), ფიზიკური იძულების გამოყენება ჰაერის, წყლის, სისხლის, შარდის, თმის, ხმის ნიმუშებისა და გენეტიკური ანალიზისათვის საჭირო სხეულის ქსოვილის ნიმუშების ასაღებად, ბრალდებულის სხეულში დამალული ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენა გულისრევის ხელოვნურად გამოწვევის გზით დასაშვებია რადგანაც ეს მტკიცებულებები არსებობენ ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, ბიოლოგიური ცხოველქმედების შედეგად და მათი მოპოვება და გადაცემა მის სუბიექტურ ნებაზე არაა დამოკიდებული.¹²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ერთგვარი ტესტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ, როდესაც ხდება დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებლად ზემოთ ნახსენები მტკიცებულებების მოპოვება. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვის ინტენსივობიდან გამომდინარე არ ილახება უფლების არსი, შესაძლოა მოხდეს ადამიანის სხეულიდან შესაბამისი ნიმუშის მოპოვება. აღნიშნული ტესტი მდგომარეობს შემდეგში: 1. შეფასებულ უნდა იქნეს გამოყენებული იძულების სახე და ხარისხი. 2. მტკიცებულების მოპოვების დროს, გამოძიების ორგანოების მხრიდან რამდენად დაცულია პროცესუალური გარანტიები; 3. ლეგიტიმური მიზანი, თუ რისთვის ხდება მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება. 4. კერძო და საჯარო ინტერესების თანაფარდობა.¹³ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი მანიპულაციების ჩატარება, რაც ხელყოფს ადამიანის ანატომიურ მთლიანობას დაუშვებელია და აბსოლუტურად დაცულ უფლებების სფეროს მიეკუთვნება.

ევროპული სასამართლოს მსგავსად საკითხს უდგება ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. 1966 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, „შმერბერი კალიფორნიის წინააღმდეგ“_ (*Schmerber v. California*), რომელიც შეეხებოდა ბრალდებულისგან მისი თანხმობის გარეშე სისხლის ნიმუშის აღებას, სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია არ მოქმედებს სისხლის ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით და იცავს ბრალდებულს მხოლოდ იმისგან, რომ არ იყოს იძულებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან სხვაგვარად წარუდგინოს სახელმწიფოს მტკიცებულება, რომელიც შეიძლება იყოს ჩვენების თანაბომადი ან კომუნიკაციური ხასიათის და ამდენად, სისხლის ნიმუშის აღება და შემდგომში მისი გამოყენება მტკიცებულების მიზნით არ წარმოადგენს პრივილეგიის დარღვევას.¹⁴

რაც შეეხება ხმის ნიმუშს, ხმის ნიმუში გამოიყენება მხოლოდ იმის განსასაზღვრად, ხმა ფიზიკურად ეკუთვნის თუ არა მოწმეს, და არა იმის

¹² *Jalloh v. Germany*, ECHR, 11.07.2006, §105-113.

¹³ *Pavlenko v. Russia*, ECHR, 01.04.2010 §100; *Bykov v. Russia*, ECHR, 14.10.2010 §92.

¹⁴ *Schmerber v. California*, 384, U.S. 757, 761. 20.06.1966.

დასადგენად ნათქვამი არის თუ არა ჩვენების თანაბომადი ან კომუნიკაციური შინაარსის მტკიცებულება.

3.2.2. დაცვა მოტყუების წინააღმდეგ

დუმილისა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება ძირითადად ემსახურება შესაბამისი ორგანოების მიერ არაჯეროვანი იძულების, ასევე იძულებისა და ზეწოლის მეთოდებით, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, მტკიცებულებების მოპოვებისაგან დაცვის უზრუნველყოფას, უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმეებით, რომლებშიც ბრალდებულზე განხორციელდა ზეწოლა ან მისი ნება იქნა დაძლეული. უფლება, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების ძირითადი პრინციპი, ემსახურება ჩვენების მიმცემი პირის არჩევანის თავისუფლებას, უპასუხოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ დასმულ კითხვებს თუ ისარგებლოს დუმილის პრივილეგიით.¹⁵ ცხადია, აღნიშნული უფლების გამოყენების დაკნინება ხდება მაშინ, როდესაც პირი ამჯობინებს დუმილს, ხოლო სისხლის სამართლის მწარმოებელი ორგანოები იყენებენ სხვადასხვა მოტყუებით ხერხებს აღიარების მისაღწევად.¹⁶

ბრალდებულის მიერ საკითარი ნებით კერძო პირისათვის მიწოდებული ინფორმაციის მოგვიანებით მის წინააღმდეგ გამოყენებისას პრივილეგიის უფლების დარღვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ბრალდებული იმყოფება წინასწარი დაკავების ან საპატიმრო იზოლაციაში, მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია, ამავე დროს კომუნიკაციის მხარე წარმოადგენს სამართალდამცავი სისტემის თნამშრომელს (კონფიდენტს), რომლის სამსახურებრივ ამოცანას წარმოადგენს ბრალდებულთან ნდობით ურთიერთობებში შესვლა და მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვება. ითვლება, რომ ასეთ დროს, როდესაც ბრალდებული იყოფება დახურულ სივრცეში, არ აქვს სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია, გარდა კონფიდენტისა, მასზე ხორციელდება არაპირდაპირი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ფაქტობრივად, ბრალდებული იძულებულია გასცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაცია.¹⁷ ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით¹⁸, თუ ინფორმატორი, რომელმაც ხელყო დუმილის უფლება, არ იყო

¹⁵ Allan v. U.K, ECHR, 05.11.2002.

¹⁶ ტრექსელი შ., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“. თბ., 2010, 394.

¹⁷ Allan v. UK, ECHR, 05.11.2002.

¹⁸ კანადის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელშიც განხილულია საქმე *R v. Herbert*, არსებობს ზღვარი, რომლის გადაკვეთის შემდგომ ადგილი აქვს მე-6 მუხლით განმტკიცებული უფლების დარღვევას. სასამართლოს ზოგადი მიდგომის მიხედვით, „ეს დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეში მოცემულ ყველა გარემოებაზე“. შესაბამისად, პრივილეგიით სარგებლობის უფლების დარღვევის შემთხვევაში ყველა გარემოება ცალ-ცალკე, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული.

ფორმალურად სახელმწიფოს წარმომადგენელი, მაშინ აუცილებელია ინფორმატორსა და სახელმწიფოს, ისევე, როგორც ინფორმატორსა და ბრალდებულს შორის ურთიერთობის სრულყოფილი ანალიზი. პრივილეგიით სარგებლობის უფლება დარღვეული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იზოლატორში მოთავსებული ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისას კონფიდენტი მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და იყო ამ ჩვენებისა და აღიარების მიცემის ერთადერთი მიზეზი. რაც შეეხება კონფიდენტის განხილვას სახელმწიფოს წარმომადგენლად, აღნიშნული დამოკიდებული იქნება იმაზე, მოხდებოდა თუ არა მასსა და ბრალდებულს შორის ინფორმაციის გაცვლა იმ ფორმით და საშუალებით, როგორც ეს მოხდებოდა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. გარკვევა იმისა, კონფიდენტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია იქნება თუ არა ბრალეულობის დამამტკიცებელი მტკიცებულება, დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა მასსა და ბრალდებულს შორის არსებული ვერბალური კომუნიკაცია ფუნქციურად დაკითხვის მსგავსი, ასევე, რა ურთიერთობა ჩამოყალიბდა იზოლატორში კონფიდენტსა და ბრალდებულს შორის.

ღრმა ანალიზის შემდგომ კეთდება დასკვნა, რომ ჩამოყალიბებული ტესტი (დოქტრინა) მკაცრად ფორმალურია. კერძოდ, სახელმწიფოსა და კონფიდენტს შორის კავშირის დადგენის კრიტერიუმები ფორმალური არ უნდა იყოს. ასევე, თუ გაკეთდება იმის დაშვება, რომ კონვენციის უფლების დარღვევის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები არ ხდის სამართალწარმოებას ერთი შეხედვით „უსამართლოდ“, მაშინ გამართლებული იქნება იმის მტკიცება, რომ მტკიცებულებათა შეგროვება არ შემოიფარგლება მხოლოდ სპონტანური სახის საუბრების ჩაწერით.¹⁹

შესაბამისად, როდესაც ბრალდებული იმყოფება დახურულ სივრცეში, მასთან შედის სახელმწიფოსთან დაკავშირებული კონფიდენტი და პრაქტიკულად არაფორმალურად ახორციელებს მის „დაკითხვას“, ყველა არსებული გარანტიის გარეშე. აღნიშნული, ცალსახად არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიან სასამართლოს (სამართალწარმოების) უფლებას.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს მაშინ, როდესაც ბრალდებული იმყოფება საპატიმრო დაწესებულების გარეთ, მისი მოქმედების არეალი არაა შეზღუდული და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი არ ახდენს საუბრის მიმართულების წარმართვას, საერთოდაც, შესაძლებელია ისინი საერთოდ არ იმყოფებოდნენ საპროცესო-სამართლებრივ ურთიერთობაში. როდესაც ბრალდებულს აქვს არჩევანის შესაძლებლობა, ისაუბროს ნებისმიერ თემაზე, შესაძლებლობა შეხვდეს მოსაუბრე მხარეს ან უარი განაცხადოს მასთან

¹⁹ ტრეესელი შ., ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში, 2010, 395.

შეხვედრაზე, ამავე დროს არ არსებობს კომუნიკაციის მხარეებს შორის დაქვემდებარებული მდგომარეობა. ასეთ შემთხვევაში მოპოვებული მტკიცებულება დასაშვებია და არ წარმოადგენს თვითინკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევას.²⁰

3.2.3. პრივილეგიით სარგებლობის უფლების განმარტების აუცილებლობა

ჩვეულებრივ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, იურისტებისაგან განსხვავებით, არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი სამართლებრივი უფლებების და გარანტიების შესახებ, სწორედ ამიტომ, სამართალდამცავი და გამოძიების ორგანოები ვალდებულნი არიან მოახდინონ პირისათვის საპროცესო უფლებების განმარტება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილიც ამას განამტკიცებს: „დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, - ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული“.²¹

შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ეს ჩანაწერი აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ 1966 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას ეხმიანება, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა ე.წ. „მირანდას უფლებები“.²² „მირანდას“ მიხედვით, ნებისმიერ პირს დაკავებისას უნდა მიეცეს ფორმალური გაფრთხილება მისი თვითინკრიმინირებისგან დაცვის პრივილეგიის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჩვენება ვერ იქნება გამოყენებული, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში.

იმისათვის, რომ პირმა შეძლოს უფლებით სარგებლობა, მას უნდა განემარტოს მისთვის გასაგებ ენაზე აღნიშნული პრივილეგიის არსი და ის, რომ დუმილის შემთხვევაში, ან საკუთარი თავის წინააღმდეგ მამხილებელი მტკიცებულებების არ გადაცემის შემთხვევაში მისი დუმილი არ აღიქმება ბრალდებაზე „თანხმობის ნიშნად“.

²⁰ *Bykov v. Russia, ECHR, 14.10.2010* – მკვლელობაში ბრალდებული პირის საუბრები, რომლებიც პოლიციის ინსპექტორის სამხრე კამერით იყო ჩაწერილი სასამართლო პროცესზე იქნა გამოყენებული, როგორც მტკიცებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დადგენა, რადგანაც, ბრალდებული არ იმყოფებოდა პატიმრობაში, მას ჰქონდა კონფიდენტთან შეხვედრისა და საუბრის შესახებ არჩევანის თავისუფლად გაკეთების შესაძლებლობა, მისი სუბიექტური ნება საუბრის თემასთან დაკავშირებით არ გახლდათ შეზღუდული.

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38, ნაწილი 2.

²² *Miranda v Arizona, US, 436 (1966)*.

„მირანდას უფლებების“ შესახებ მსჯელობისას ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, მოითხოვს კი საერთაშორისო სამართალი აღნიშნული უფლებების განმარტებას ზუსტად ისევე, როგორც აშშ-ში, თუ „მირანდას წესები“ მხოლოდ აშშ-ს სამართლის კონტექსტში უნდა გამოვიყენოთ? ცალსახაა, ისეთი ინფორმაციის მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის, როგორცაა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირება თვითინკრიმინაციის პრივილეგიის გამოყენების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, ბრალდებულმა უნდა შეძლოს და დაამტკიცოს, რომ, თუმცა კითხვებზე პასუხის გაცემის გადაწყვეტილება წარმოადგენდა დუმილის უფლებაზე უარის თქმას, ან დოკუმენტების გადაცემა წარმოადგენდა თვითინკრიმინაციის პრივილეგიის გამოყენებაზე უარის თქმას, ის არ იყო ნამდვილი, რადგან, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჯეროვნად არ ყოფილა ინფორმირებული.²³

აღნიშნულს ადასტურებს ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის ზოგადი კომენტარი N13-ით, რომლის მიხედვითაც, კანონმდებლობამ უნდა გამორიცხოს პრივილეგიის დარღვევის შედეგად მიღებული ინფორმაციის მტკიცებულად გამოყენება.²⁴

3.2.4 დოკუმენტების (ინფორმაციის) წარდგენაზე უარის თქმის უფლება

ბრალდებული არაა ვალდებული ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, როგორებიცაა წერილობითი დოკუმენტები, წარადგინოს სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოში. თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება მოიცავს ისეთი მტკიცებულებების გადაცემის იძულებას, რომლებიც არ არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად და სამართალდამცავ ორგანოებში მისი წარდგენა მთლიანად დამოკიდებულია ბრალდებულზე. მაგალითად, საქმეში „ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Funke v. France*) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულის იძულების მცდელობა, გადასცეს დოკუმენტაცია სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოს და ამით წარმოადგინოს მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება, არღვევს პირის უფლებას

²³ *Pfeifer and Plankl v. Austria*, ECHR, 25.02.1992, §37. (აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე უარის თქმა უნდა დადგინდეს ერთმნიშვნელოვნად იმისათვის, რომ საპროცესო უფლებებზე უარის თქმას ჰქონდეს ძალა კონვენციის მიზნებისათვის, აუცილებელია მისი მნიშვნელობის თანაზომადი, მინიმალური, გარანტიების არსებობა.

²⁴ Human Rights Committee, General Comment No.32. Article 14. Ninetieth session Geneva, 9 to 27 July 2007.

არ მოახდინოს საკუთარი თავის ინკრიმინირება.²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ ვინაიდან საბაჟო დაწესებულება სხვაგვარად ვერ ახერხებდა განმცხადებლისაგან დოკუმენტაციის მიღებას, იგი აიძულეს, თავად წარმოედგინა დოკუმენტები, რომლებიც ამხელდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებებს. „საბაჟო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა არ შეიძლება გაამართლოს მე-6 მუხლის ავტონომიური მნიშვნელობით, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირის დუმილისა და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებების დარღვევა“²⁶

დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებით, თვითინკრიმინაციის პრივილეგია ფართოდ განიმარტება. პირის მიმართ, რომელიც დოკუმენტების ან ინფორმაციის წარდგენაზე უარს ამბობს, სანქციის დაკისრება, ხელყოფს ბრალდებულის უფლებას საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის უარის თქმის შესახებ.²⁷

3.2.5. გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში წვლილის შეტანა, რომელიც არ ჩაითვლება პრივილეგიის დარღვევად

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არსებობს იმისათვის, რომ ბრალდებულის ნება იქნეს პატივცემული. თუმცა, ის ვრცელდება სისხლის სამართალწარმოებაში არა ისეთი მტკიცებულებების გამოყენებაზე, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ბრალდებულის იძულების შედეგად, არამედ რომლებიც ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორცაა შესაბამისი სასამართლო ნებართვის საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტები, სისხლისა და შარდის ანალიზები, ქსოვილის ანალიზი DNA-ის დადგენისათვის. შესაბამისად, პრივილეგია მოიცავს ბრალდებულისაგან მხოლოდ ისეთ წვლილის შეტანას, რომელიც არ შეიძლება ჩანაცვლდეს პირდაპირი ძალის გამოყენებით. წვლილის შეტანა შეიძლება, რომ იყოს ჩვენების თანაზომადი. კამათის საგანია, რამდენად ეხება აღნიშნული განმარტება დოკუმენტაციის წარმოდგენას. გამონაკლისი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით,

²⁵ განმცხადებელი ბრალდებული გახლდათ საზღვარგარეთ საბანკო ანგარიშების ფლობაში. ამასთან დაკავშირებით, ის დაკითხეს საბაჟო ოფიცრებმა და მოსთხოვეს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა. ბატონმა ფუნკემ უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე. 1982 წლის 3 მაისს საბაჟო დაწესებულების წარმომადგენლებმა იგი დაიბარეს სასამართლოში, რათა მისთვის დაენიშნათ ჯარიმა და დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ფრანკი დაეკისრებინათ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაირღვა თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, რომელიც სამართლისანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედაა.

²⁶ *J.B. v. Switzerland, ECHR, 03.05.2001*, განაცხადი N31827/96, §60.

²⁷ იქვე. §68.

განხილულია ისეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც გამოძიების ორგანოებისათვის ზუსტად არის ცნობილი დოკუმენტების არსებობის შესახებ. შეიძლება იძულება დაშვებულ იქნეს ასეთი დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით, თუმცა არავითარ შემთხვევაში ჰიპოთეტურად არსებული დოკუმენტების წარმოდგენისათვის.

4. პრივილეგიის არაპირდაპირი შედეგები

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია პრაქტიკაში უსარგებლო გახდება, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის უარის განმარტებისას სასამართლო ხელისუფლებას ან გამოძიების ორგანოებს ექნებათ სრული თავისუფლება. აუცილებელია გარკვეული გარანტიების არსებობა ზეწოლის შედეგად მიღებული ჩვენების ან დოკუმენტების მტკიცებულებად გამოყენების წინააღმდეგ.²⁸

4.1. თვითინკრიმინაციის პრივილეგიის გამოყენებისას უარყოფითი დასკვნების გაკეთების აკრძალვა

ჭეშმარიტებაა იმის თქმა, რომ შეუძლებელია იმის განჭვრეტა, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენებას მოსამართლის შინაგან რწმენაზე. რეალურად კი, აკრძალულია განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ბრალდებულის დუმილზე ისეთი მინიშნების გაკეთება, რაც შეიძლება გულისხმობდეს ამ ფაქტორის გათვალისწინებას პირის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანაში.²⁹

სამართალდამცავ სისტემასთან თანამშრომლობა ბრალდებულის უფლებაა, რის გამოც თანამშრომლობაზე უარის თქმა არ შეიძლება წარმოადგენდეს საპროცესო მდგომარეობის დამამძიმებელ გარემოებას ან იმას, რომ პირმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული და ამის გამო მას არაფერი აქვს სათქმელი.

ძირითადი პრინციპი, რომ დუმილის უფლება მოიცავს დუმილის საფუძველზე სასამართლოს მიერ უარყოფითი დასკვნების გამოტანის აკრძალვას ნამდვილად არაა სადავო საკითხი. შეუძლებელი იქნება იმის შეფასება, თუ რა ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა შეუძლია მდუმარე მოწმეს მოსამართლეზე. ცალსახაა, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ არ უნდა მიუთითოს

²⁸ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ გაეროს გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენცია. მუხლი 15: „ყოველი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც დადგინდა, რომ გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად ნებისმიერი სასამართლო განხილვის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც განცხადების გაკეთების მტკიცებულება“.

²⁹ ტრეესელი.შ. „ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში“, 2010, 399.

დუმილზე, როგორც ბრალის აღიარებაზე.³⁰ ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობიდან უარყოფითი დასკვნების გამოტანის დაშვება არის იძულების ეფექტური საშუალება, რომლითაც მტკიცების ტვირთი ინაცვლებს და, ფაქტობრივად, სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობა იცვლება, იგი გადადის ბრალდებიდან დაცვაზე. ამავე დროს, ეს დაშვება მთლიანად ეწინააღმდეგება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის უფლებას, რადგანაც ბრალდებულს ასეთ შემთხვევაში არ რჩება რაიმე გონივრულ ფარგლებში არსებული არჩევანი. ასეთ დროს ადგილი აქვს გარკვეული ხარისხის არაპირდაპირ იძულებას, როდესაც ბრალდებული გაფრთხილებულია, ან უბრალოდ ლეგიტიმური მოლოდინი აქვს, რომ დუმილი მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული იგი იძულებული ხდება მისცეს ჩვენება.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი იყო ისეთი კანონმდებლობის მიღება, რაც ნაწილობრივ დაშორდა თვითინკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს.³¹ შესაბამისად, აღნიშნული ნორმები იქცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი. ჯონ მიურეის საქმეზე (*John Murray v. UK*), მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა ისარგებლა დუმილის უფლებით, მის წინააღმდეგ მაინც გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. მოსამართლის მიერ გაკეთებული განმარტების მიხედვით, სასამართლომ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა დასკვნა, რომ როდესაც ბრალდებულმა არ გააკეთა განმარტება თავის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით და არ წარმოადგინა მტკიცებულებები საკუთარი თავის გასამართლებლად, იყო დამნაშავე.³² აღნიშნულ სამართალწარმოებაში მონაწილეობას იღებდა Amnesty International, როგორც amicus curiae, რომელმაც განმარტა, რომ „ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობიდან უარყოფითი დასკვნების გამოტანის დაშვება იყო იძულების ეფექტიანი საშუალება, რომლითაც მტკიცების ტვირთი ინაცვლებდა ბრალდებიდან დაცვაზე და ეწინააღმდეგებოდა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან ან თავისი ბრალეულობის აღიარებისაგან დაცვის უფლებას, რადგან ბრალდებულს არ რჩებოდა გონივრული არჩევანი დუმილის უფლებით სარგებლობასა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მის წინააღმდეგ და ჩვენების მიცემას შორის.³³

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეული სახისა და ხარისხის იძულებას, როდესაც

³⁰ *John Murrey v. UK*, CHR, 28.10.1994.

³¹ სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ გაერთიანებული სამეფოს 1988 წლის ბრძანება. მე-3 მუხლი, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1988/33/contents> [17.10.2022]

³² *John Murrey v. UK*, ECHR, 28.10.1994, §25-27.

³³ იქვე. §44.

ბრალდებული გააფრთხილეს მის წინააღმდეგ დუმილის უფლების გამოყენების შესახებ. თუმცა, სასამართლოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დაუდგენია.

4.2. ვინაობის გამხელისა და სავალდებულო განმარტების გაკეთების ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება დუმილის უფლების გამოყენების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენებასთან დაკავშირებით არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ბრალდებულს არ ეკისრება მოვალეობა კონკრეტულ საკითხზე განმარტების მიცემისგან არ შეიკავოს თავი. საკითხები, რომლებიც მოითხოვენ ბრალდებული პირისგან ახსნა-განმარტების საჭიროებას, აუცილებელია განიმარტოს. „გამამართლებელი“ ახსნა ამ შემთხვევაში პირიქით, ბრალდებულის სასარგებლოდ კი შეიძლება იყოს. ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში უნდა გაირკვეს არის თუ არა ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისად მყარი, რათა საჭიროებდეს ახსნა-განმარტებას. სასამართლოს არ შეუძლია დაადგინოს პირის ბრალეულობა მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ მან დუმილის უფლებით სარგებლობა ამჯობინა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები საჭიროებს ახსნა-განმარტებას, რომელიც ბრალდებულს შეუძლია გააკეთოს, მისი დუმილის საფუძველზე შეძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მას უბრალოდ ახსნა არ აქვს. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ ბრალდების მტკიცებულებები არ არის მყარი, ბრალდებულს ვერ მოვთხოვთ თავის დასაცავად ახსნა-განმარტებების გაკეთებას, რადგანაც სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა.

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ბრალდებულის ახსნა-განმარტება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დუმილის უფლება თვითინკრინინირების აკრძალვასთან კავშირში ფართოდ არ უნდა განიმარტოს, რადგან ასეთ შემთხვევაში საჭიროა ახსნა-განმარტების მიცემით ბრალდებულმა მოახდინოს საკუთარი თავის დაცვა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, კი დუმილის უფლების შეზღუდვა და „არაჯეროვანი იძულება“ ბრალდებულმა ითანამშრომლოს გამოძიებასთან პრივილეგიის განუხრელი დარღვევა იქნება.³⁴

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას და სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდებული არაა ვალდებული თქვას რაიმე. თუმცა, არსებობს ერთი, საყოველთაოდ აღიარებული გამონაკლისი, არ არსებობს ანონიმურობის უფლება და შესაბამისად, პირს შეიძლება კანონიერად მოსთხოვონ ვინაობის

³⁴ John Murrey v. UK, ECHR, 28.10.1994 §51.

გამჟღავნება.³⁵ შეუძლებელია ფიზიკურ პირს შეუძლებელია ჰქონდეს საკუთარი ვინაობის დამალვის უფლება. „ადამიანი, როგორც სოციალური არსება, საჭიროებს სხვებთან ურთიერთობებს და ასეთი ურთიერთობები ვერ იქნება აზრიანი, თუ პირი უარს ამბობს საკუთარი ვინაობის გამჟღავნებაზე“³⁶.

საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლებისათვის ვინაობის გამხელის ზოგადი ვალდებულება პრაქტიკაში ნიშნავს იძულების გარკვეული ფორმების გამოყენების შესაძლებლობას იმისათვის, რომ მოხდეს პირის მოტივირება. როდესაც ბრალდებული პირი არ გაამჟღავნებს აღნიშნულ ინფორმაციას შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ სანქციებსა და პრივილეგიების შეზღუდვას. შესაძლებელია, ეს იყოს ჯარიმის გამოყენება, რომელიც პირს უნდა დაეკისროს მხოლოდ ერთხელ, გონივრული ოდენობით. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, შესაძლოა მისაღები იყოს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა. ვინაობის გამხელის ვალდებულება ეკუთვნის სავალდებულო განმარტების იმ კატეგორიას, რომელიც აუცილებლად განმარტებულ და გამხელილ უნდა იქნეს შესაბამის უწყებებთან.

4.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ჯონ მიურეის საქმის შემდგომ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების იმპლემენტაციის პრაქტიკა შედარებით ახალი და არაერთმნიშვნელოვანია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ტელფნერი ავსტრიის წინააღმდეგ“ – (*Telfner v. Austria*)³⁷ ჯონ მიურეის საქმისგან განსხვავებით, საქმეში მტკიცებულებები არ იყო „ისეთი, რომ ბრალდებულის დუმილის საფუძველზე ერთადერთი კეთილგონივრული დასკვნა ყოფილიყო ის, რომ განმცხადებელს არ შეეძლო მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის ახსნა“³⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმავე დასკვნამდე მივიდა საქმეში „კონდრონი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ – (*Condrón v. UK*). ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებულმა ცოლ-ქმარმა ადვოკატის რჩევის

³⁵ ტრეესელი შ., ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში, 2010, 398.

³⁶ იქვე.

³⁷ განმცხადებლის მანქანა მოხვდა ავარიაში. მან განაცხადა, რომ შემთხვევის დროს არ იმყოფებოდა საჭესთან. მისმა დედამ და დამ, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ, უარი თქვეს განმცხადებლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ტელფნერი იქნა მსჯავრდებული, რადგან ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მოცემული მანქანით სარგებლობდა. ავარიის დღეს ის მთელი დღის განმავლობაში არ იმყოფებოდა სახლში და მისი ადგილსამყოფელი უცნობი გახლდათ. ტელფნერმა, ასევე, უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. ტელფნერის განაცხადი შეეხებოდა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტს და სასამართლომ დაადგინა გარანტიის დარღვევა.

³⁸ *Telfner v. Austria*, ECHR, 20.03.2001, §17.

საფუძვლით ამჯობინეს დუმილის უფლების გამოყენება. მოგვიანებით, სასამართლო სხდომაზე, მათ გააკეთეს განცხადება და განმარტეს დუმილის უფლების გამოყენების მიზეზი, ვინაიდან ადვოკატი არ იყო დარწმუნებული, თუ რამდენად შეეძლოთ ბრალდებულებს ბრალდების მხარის შეკითხვებზე „სწორი“ პასუხების გაცემა. მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, რომ ვერდიქტის გამოტანისას მათ, რა თქმა უნდა, შეეძლოთ მხედველობაში მიეღოთ ბრალდებულების მიერ დუმილის უფლების გამოყენების ფაქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დუმილის უფლების გამოყენება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც ბრალეულობა და დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.³⁹

5. აბსოლუტური თუ ფარდობითი პრივილეგია

5.1. აბსოლუტურობისა და ფარდობითობის განმარტება საერთაშორისო დონეზე

Nemo tenetur-ის პრინციპი არ არის აბსოლუტური. მისი შეზღუდვა დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირდაპირ შემთხვევებში, შეზღუდვის ინტენსივობა კი იმგვარი უნდა იყოს, რომ არ შეილახოს უფლების ძირითადი არსი.⁴⁰ პასუხი კითხვაზე, პრივილეგია აბსოლუტური ხასიათის მქონეა თუ ფარდობითი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გულისხმობს და როგორ უნდა განვმარტოთ ტერმინი აბსოლუტური. გამოიყოფა აბსოლუტურობის ორი ასპექტი. 1. აბსოლუტურობა შესაძლოა მიუთითებდეს იმას, რომ დაუშვებელია გამონაკლისების არსებობა. 2. აბსოლუტურობა შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ადგილი ექნება პრივილეგიის ხელყოფას იმ შემთხვევაშიც, როდესაც უფლების დარღვევასა და პირის მსჯავრდებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა არ ხდება. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, სონდერსის საქმეში (*Saunders v. UK*)⁴¹ უფლებას არ მიენიჭა აბსოლუტური ხასიათი. სტრასბურგის სასამართლომ ჩამოაყალიბა ერთგვარი შეფასების ტესტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს უფლებაში ჩარევის სამართლებრივი ლეგიტიმაცია. კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დასადგენად სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს: ბეწოლის ხასიათი და ხარისხი, დაცვის შესაბამისი, სამართლებრივი,

³⁹ ტრეესელი.შ. „ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში“, 2010, 402.

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი. 2015, 124.

⁴¹ *Saunders v. UK*, ECHR, 17.12.1996.

საშუალებების არსებობა, შემდგომში სამართალწარმოების გაგრძელებისას მოპოვებული მტკიცებულებების/მასალების გამოყენება. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უფლების დარღვევა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის და მნიშვნელობის მტკიცებულებები იქნა მოპოვებული „დუმილის“ უფლების ხელყოფის შედეგად. შესაბამისად, დარღვევა მაშინაც შეიძლება დადგინდეს, თუ სამართალწარმოება საერთოდ არ გაგრძელდება.⁴²

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია თავის არსით აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს, იგი შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევებში, ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმებით შეიზღუდოს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უფლების შელახვა სახეზე არ გვაქვს მაშინ, როდესაც პირი დამოუკიდებლად, თავად გადასცემს საკუთარი თავის დამნაშავეობის მტკიცებულებებს სამართალდამცავ ორგანოებს, ან არ გადასცემს, მაგრამ დაექვემდებარება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცალსახად განმარტავს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში ასეთი სანქციების არსებობა არაა „არაჯეროვანი იძულება“ და არ ხელყოფს *nemo tenetur* პრივილეგიას.⁴³

5.2. ეროვნული სასამართლო პრაქტიკა⁴⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ბრალდებულს გააჩნია ჩვენების მიცემისა და, ამ გზით, საკუთარი თავის დაცვის უფლება. ბრალდებული, საკუთარი დაცვის სტრატეგიის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, მისცეს ჩვენება თავის დასაცავად ან ისარგებლოს დუმილის უფლებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარანტიებს ბრალდებულის დუმილისა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების რეალიზაციისათვის. კერძოდ, დადგენილია, რომ ბრალდებულის მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბრალდებულის ნების თავისუფლების პატივისცემასთან,

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 125-126.

⁴³ *O'Halloran and Francis v. UK*. ECHR, 29.06.2007, §45-46.

⁴⁴ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე. №3/2/1478 2021 წლის 28 დეკემბერი.

შეინარჩუნოს დუმილის უფლება. შესაბამისად, დასახელებული კონსტიტუციური გარანტია ემსახურება პირისათვის დუმილისა და ჩვენების მიცემის უფლებებს შორის არჩევანის თავისუფლების გარანტირებას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი ზღუდავს იძულებით ან ზეწოლით ბრალდებულისაგან მაინკრიმინებელი ჩვენების მოპოვებას. შესაბამისად, სწორედ აღიარებითი ჩვენების მიცემის პირდაპირი თუ ირიბი ვალდებულების ფაქტი წარმოშობს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიასთან მიმართებით ამა თუ იმ ღონისძიების არაკონსტიტუციურობის რისკებს. დუმილის უფლების შეზღუდვას ვერ გამოიწვევს რეგულირება, რომლის ფარგლებშიც არ ხორციელდება პირის ნებელობით ელემენტებზე ზემოქმედება მისგან მტკიცებულების მოპოვების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიასთან დაკავშირებული სტანდარტები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს გარანტირებული აქვს დუმილის უფლება, არაჯეროვანი იძულების გარეშე.

სასამართლოში ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა. ბრალდებულს გააჩნია თავისუფალი არჩევანი, ისარგებლოს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიით ან საკუთარი დაცვის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება. რა თქმა უნდა, იმ დათქმით, რომ დუმილის უფლების გამოყენება არ შეიძლება, შეფასებულ იქნეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.⁴⁵

ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის უფლება, საფუძველშივე შეზღუდულია მოწმეთა ჩვენების სანდოობის უზრუნველყოფი სამართლებრივი მექანიზმებით. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისას ფიცის დადების სავალდებულო პროცედურა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გაფრთხილება ემსახურება, სწორედ, ბრალდებული მოწმის მხრიდან სასამართლოსათვის მხოლოდ სიმართლის შემცველი ინფორმაციის მიწოდებისა და, ამ გზით, ჩვენების სანდოობის სამართლებრივ უზრუნველყოფას.⁴⁶ ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის გათვალისწინებული შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკი, მნიშვნელოვანწილად, განაპირობებს მისი ჩვენების სანდოობას.

ჩვენების სანდოობის უზრუნველყოფი გარანტიების შემუშავება მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ნამდვილობის შეფასების ხელშეწყობას, რაც სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენის ინტერესს ემსახურება, მათ შორის, პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის სათანადოდ დადგენას. არასანდო, საეჭვო და ცრუ ინფორმაცია

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.12.2021 გადაწყვეტილება, N3/2/1478, §17.

⁴⁶ იქვე. §19-22.

წარმოშობს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების სერიოზულ რისკებს. მტკიცებულებათა დაცვის ამგვარი საჭიროება განსაკუთრებით არსებობს ბრალდებული პირის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემის შემთხვევაში, ვინაიდან ბრალდებულს, როგორც საქმის შედეგით პირდაპირ და უშუალოდ დაინტერესებულ პირს, როდესაც მოქმედებს პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის სურვილით, გააჩნია ცრუ ჩვენების მიცემისა და მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის მაღალი ინტერესი. შესაბამისად, სწორედ სისხლის სამართლის საქმის შედეგისადმი პირადი ინტერესის გამო, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა შებოჭილია მტკიცებულებების სანდოობის უზრუნველყოფი გარანტიებით, როგორებიც არის ფიცი და ფიცის შემცვლელი დადასტურება, ისევე, როგორც ცრუ ჩვენებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.⁴⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თუ არ იარსებებდა ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის პრევენციის მატერიალური გარანტიები შემცირდებოდა კეთილსინდისიერი ბრალდებულის ჩვენების სანდოობის ხარისხიც. მტკიცებულება, რომლის ნამდვილობა და სანდოობა არ არის დაცული და გარანტირებული ისეთი მექანიზმით, როგორიც პასუხისმგებლობაა, ხარისხობრივად ნაკლებად სარწმუნოა. „გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, სისხლის სამართლის საქმის თაობაზე შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების პროცესში, ბუნებრივად, ნაკლებ მნიშვნელობას მიანიჭებდა ბრალდებულის მიერ მიცემულ ჩვენებაში ასახულ ინფორმაციას, რაც არათუ კეთილსინდისიერი ბრალდებულის ინტერესებს მოემსახურებოდა, არამედ შეამცირებდა ბრალდებულთა ამგვარი კატეგორიის მიერ საკუთარი დაცვის სასარგებლოდ ჩვენების მიცემის უფლებით სარგებლობის კონსტიტუციურ სტანდარტებს.“⁴⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ბრალდებულისათვის ცრუ ჩვენების მიცემის უფლების მინიჭება, ფაქტობრივად, მისთვის ჩვენების მიცემის უფლების შეზღუდვის ტოლფასია. ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულებითი ძალა მინიმალური იქნება. ასეთ მდგომარეობაში მოსამართლეს უწევს მოისმინოს დაინტერესებული პირის ჩვენება, რომლის სანდოობა არასარწმუნოა. შესაბამისად, ცალსახაა, რომ მოსამართლე მსგავს ჩვენებას მნიშვნელოვან მტკიცებულებით ძალას არ მიანიჭებს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, როდესაც ბრალდებული გადაწყვეტს, არ გამოიყენოს თვითინკრიმინაციისგან დაცვის

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.12.2021 გადაწყვეტილება, N3/2/1478, §21.

⁴⁸ იქვე. §21-22.

პრივილეგია, იგი ვალდებულია ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა, რომელიც საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების განმარტების მიხედვით, წინააღმდეგობაში არ მოდის *Nemo Tenetur*-ის პრივილეგიასთან. მხოლოდ სიმართლის თქმის ვალდებულებით ბრალდებულის შებოჭვა განპირობებულია მართლმსაჯულების ინტერესებით. შესაბამისად, არც საკუთარი დაცვის სასარგებლოდ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის და არც თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ გულისხმობს ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შესაძლებლობას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულს არ გააჩნია ცრუ ჩვენების მიცემის კონსტიტუციური უფლება“.⁴⁹

დასკვნა

თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო გარანტია პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, რომელიც განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. აღნიშნული პრივილეგია სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს ბრალდებულის სამართლებრივი უფლებების რეალურ, პრაქტიკაში სრულყოფილ რეალიზაციას.

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ასევე მოიხსენიება, როგორც „დუმილის უფლება“ ან „საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლება“ - რეალურად კი ნახსენები პრივილეგია, იმანენტური თვისებებიდან გამომდინარე, ორივეს მოიცავს თავის თავში. მოცემული გარანტია გულისხმობს ადამიანის უფლებას, არ აიძულონ საკუთარი თავის ბრალდებულად აღიარება და დაცულ იქნეს ჩვენების მიცემის, დოკუმენტების გადაცემის ან ნებისმიერი საბრალდებო ინფორმაციის მიწოდების ზეწოლისაგან. რეალურად კი, ესაა სამოსამართლო სამართლის მიერ ჩამოყალიბებული და შემდგომ ნორმატიულად განმტკიცებული ის უფლება, რომელიც ბრალდებულს სრულყოფილად აქცევს სისხლის სამართლის სუბიექტად და აძლევს მას შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და არ ჰქონდეს შიში, რომ დუმილის უფლების გამოყენების შემთხვევაში მისი ქცევა არასწორად გაგებული იქნება. ცალსახაა, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის წარმოებაში არსებული ეს უფლება ეხმიანება იმ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქვაკუთხედის განუყოფელი ნაწილია, ჰუმანიზმის პრინციპს სისხლის სამართალში.

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.12.2021 გადაწყვეტილება, N3/2/1478, §25.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 22/07/1999.
3. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950.
5. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ გაეროს გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენცია.
6. სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ გაერთიანებული სამეფოს 1988 წლის ბრძანება.
7. *თუმანიშვილი გ.*, სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014. 53-55; 63-88;150-165.
8. *ლალიაშვილი თ.*, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2015, 80-135
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2015, 123-129
10. *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, 383-403
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №574, 23/05/2014.
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/1478, 28/12/2021.
13. *Glenn M. Abernathy, Barbara A. Perry*, Civil liberties under the Constitution, 6th ed., Columbia, SC, 1993.
14. *Luis E.Chiesa*, Beyond Torture: The Nemo Tenetur Principle in Borderline Cases, Pace University, Pace Law Faculty Publications, 2009.
15. Human Rights Committee, General Comment No.32. Article 14. Ninetieth session Geneva, 9 to 27 July 2007.
16. Allan v. U.K, ECHR, 05.11.2002.
17. Bykov v. Russia, ECHR, 14.10.2010.
18. Condron v. UK, ECHR, 02.05.2000.
19. Funke v France; JB v. Switherland, ECHR, 25.02.1993.
20. John Murrey v. UK, ECHR, 28.10.1994.
21. Jalloh v. Germany. ECHR, 11.07.2006.
22. J.B. v. Switzerland, ECHR, 03.05.2001, №31827/96.
23. Miranda v Arizona, US, 436 (1966).
24. O'Halloran and Francis v. UK. ECHR, 29.06.2007.
25. Pfeifer and Plankl v. Austria, ECHR, 25.02.1992.
26. Pavlenko v. Russia, ECHR, 01.04.2010.
27. R v. Herbert, CA, 1990.
28. Saunders v. UK, ECHR, 17.12.1996
29. Schmerber v. California, 384, U>S> 20.06.1966
30. Telfner v. Austria, ECHR, 20.03.2011
31. <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1988/33/contents> [17.10.2022]

Guranda Kartvelishvili

The Right Not to Incriminate Oneself (Boundaries; Direct and Indirect Consequences)

In the criminal procedure “the right not to incriminate oneself” is one of the most important and complicated legal privilege. In practice and theory, there are frequent disputes where boundaries of this privilege start and end. What are real exceptions and clear restriction of the right. The democratic state must always guarantee the fundamental rights of the person. Security can not be an excuse for leaving them without effect. In the previous article, there will be analyzed international and national standards, formed by European Human Rights Court, Georgian Constitutional Court and legislation. Special attention must be given to explanation of the courts, which clears everything up, because explanations of the simple privilege sometimes are kind of vague and versatile interpretable.

Keywords: *Self-incrimination, Right to a fair trial; Rights of defendant, Right to silence, “Miranda Warning”.*